შრომის სხვადასხვა სტიმული საბაზრო ურთიერთობების პირობებში და სამეწარმეო უნარი

ედუარდ კავთიძე
სტუ-ს დოქტორანტი

შემოსავლების სიდიდის, ისევე როგორც ცხოვრების დონის, განსხვავებები არის ეკონომიკური სტიმულის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი. ვინაიდან ცხოვრებისა და შემოსავლის დონეები პირდაპირ არიან დაკავშირებულნი განაწილებასთან, რამდენადაც ისინი განაწილების მიზანსა და შედეგს, მაშასადამე, მათ შინაგან ელემენტს წარმოადგენენ, შრომისა და საერთოდ ეკონომიკური ქცევის მასტიმულირებელ ფაქტორთა ანალიზს სწორედ ამ დონეებით დავიწყებთ. ამასთან, გავარკვევთ მათ არსს, რომელთა ერთ-ერთ საკითხს ხელფასის არსი წარმოადგენს.

საზოგადოების განვითარებაში შემოსავალი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც უშუალო კავშირშია საზოგადოების თითოეული წევრის პირად დაინტერესებასთან, როგორც ამ უკანასკნელის შინაგან მამოძრავებელ ძალასთან.

ეკონომიკურ თეორიაში თითქმის ყველა მიმდინარეობა დღეს ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ახალი მეთოდებისა და გზების გამონახვის გზაჯვარედინზე გადის, რის გამოც თეორიულ დებულებებსა და დასკვნაში ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგებია მოყვანილი. ერთი კი ცხადია, რომ ადამიანის ცხოვრების პირობებს ნებისმიერ კონკრეტულ მომენტში, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს შემოსავალი, რომლის ერთ-ერთ ძირითად ფორმას წარმოადგენს ხელფასი. იგი ძირითადად შრომის შედეგთან არის დაკავშირებული, თუმცა თანამედროვე პირობებში მას სოციალური ფუნქციაც აქვს.

იგი წარმოადგენს შრომითი შემოსავლის ძირითად ნაწილს. შრომითი შემოსავალი ეწოდება ფულის, საქონლის ან მომსახურების იმ რაოდენობას, რომელსაც დროის გარკვეულ პერიოდში პიროვნება, ოჯახი, კოლექტივი შესრულებული სამუშაოს საფასურად იღებს.

ეს შემოსავალი ფიქსირდება ფულის სახით, თუმცა გამორიცხული არ არის მისი ნატურალურ-ნივთობრივი ფორმაც.

როგორც ცნობილია, ადამიანი ეწევა მრავალგვარი სახეობის საქმიანობას, რომლებიც განსხვავებული ნიშან-თვისებებით ხასიათდებიან, მაგრამ ზოგადად, შემოსავლის უპირველესი წყარო საწარმოო შრომითი საქმიანობა; კონკრეტულად, შემოსავლის უმთავრეს წყაროდ ითვლება მეურნეობის ის სფერო, რომელშიც ადამიანი შრომობს და მოღვაწეობს. ასეთი შეიძლება იყოს ხელფასიც და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალიც. არსებობს შრომითი შედეგის ისეთი სახეებიც, რომლებიც გაცვლით პროცესებს არ ექვემდებარებიან და ამიტომ, როგორც პიროვნებისა და ოჯახის შემოსავალი ფულადი ფორმით არ ფიქსირდება. ასეთ საქმიანობად შეიძლება ჩაითვალოს: დიასახლისის შრომა, საკუთარი შრომით საცხოვრებელი ბინის ან პირადი მოხმარებისათვის საჭირო სხვა სახის ნაგებობების აშენება, სხვადასხვა სახის პროდუქტის დამზადება, საოჯახო ნივთების შეკეთება, შინაური ცხოველებისა და ფრინველების მოშენება-გამრავლება და სხვა. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ხშირად შემოსავალს იღებს „აკრძალული ილეთების" გამოყენებითაც (რეკეტი, თაღლითობა, ნარკოტიკების წარმოება გასაღება და ა.შ.)

ცნობილია, რომ ყველა ქვეყანაში შრომისუნარიანი მოსახლეობის უმრავლესობა დასაქმებულია მატერიალურ წარმოებასა და მომსახურეობის სფეროში და შრომის გაქირავების შედეგად იღებს ხელფასს, რომელიც მისი ცხოვრების კვლავწარმოების ძირითადი წყაროა. მის შესახებ ეკონომიკურ ლიტერატურაში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული, თუმცა თანამედროვე ეკონომისტები ერთხმად იზიარებენ სმიტისეულ განსაზღვრას, რომ ხელფასი არის შრომის ფასი. იგი არის შრომის ფაქტორული შემოსავალი – მუშაკის მიერ იმ სამუშაოს შესრულებისათვის მიღებული ფულის რაოდენობა, რომელშიც ვლინდება მისი შრომის უნარი. ხელფასი უფრო მეტად ნორმატიულია (ფიქსირებულია) და მას საფუძვლად მუშასა და მეწარმეს შორის გარკვეული ვა-

დით დადებული შრომითი ხელშეკრულება უდევს. როგორც ჩვენ უკვე ავღალბათნიშნეთ, ხელშეკრულება ასახავს, ერთი მხრივ, შრომის ბაზარზე არსებულ მდგომარეობას, შრომაზე მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის, მეორე მხრივ კი იმ ზრახვებსა და სურვილებს, რომლებიც მომავალ საწარმოო პროცესში შეიძლება გამოავლინონ ერთმანეთის მიმართ ამავე მხარეებმა და რომლებსაც ყველაზე მეტად შრომის სტიმულები ასახავენ.

როგორც ცნობილია, ისევე, როგორც ყველა სხვა შემოსავალი, ხელფასიც ორი სახისაა: ნომინალური და რეალური. ნომინალურია ხელფასი, რომელიც ფულით არის გამოხატული, ხოლო რეალურია - ხელფასი, რომელიც უზრუნველყოფილია საარსებო საშუალებებით. ეს უკანასკნელი, როგორც წესი, დამოკიდებულია ნომინალური ხელფასის რაოდენობასა და სამომხმარებლო ფასების (მომსახურეობის ტარიფების) დონეზე. რეალური ხელფასის სიდიდე განისაზღვრება იმ მატერიალური დოვლათისა და მომსახურების ოდენობით, რომელსაც მუშაკი ნომინალური ხელფა-სით შეიძენს. ნომინალური ხელფასის მსყიდველობითუნარიანობის გასაანგა-რიშებლად აუცილებელია აგრეთვე მისგან საშემოსავლო და სხვა სახის გადასახადების გამოქვითვა.

არსებობს ხელფასის ორი ფორმა – დროითი და სანარდო ანაზღაურების ფორმით. სანარდო ანაზღაურებას უფრო მეტად იქ მიმართავენ, სადაც არსებობს მუშის მიერ დამზადებული პროდუქციის რაოდენობრივი დაფიქსირების პრაქტიკული შესაძლებლობა. მის უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ იგი პირდაპირ აკავშირებს შრომის შედეგსა და მის ანაზღაურებას ერთმანეთთან და ამაზე დაყრდნობით უზრუნველყოფს დამქირავებელსა და დაქირავებული მუშაკის ინტერესების თანხვედრას. ისეთ პირობებში კი, როდესაც წარმოება ავტომატიზირებული და კომპიუტერიზებულია, რის გამოც საერთო შედეგებში ცალკეული მუშის წვლილის დადგენა შეუძლებელია, გაიცემა დროითი ხელფასი. ნათელია, რომ წარმოების დღევანდელი დონე სულ უფრო მეტად ოთხოვს დროითი ხელფასის გავრცელებას, რადგან პრობლემურად აქცევს შრომის შედეგების გაზომვას.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციის პირობებში ხშირად მოთხოვნა ამა თუ იმ პროფესიაზე მკვეთრად ეცემა და ამ სფეროში ხელფასი მცირდება. ხშირად შრომის ერთსა და იმავე სახეობაშიც შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის შესაბამისად, ხელფასი რაოდენობრივად განსხვავებულია, ამიტომ სწრაფად ცვალებად პირობებში ადამიანები ცდილობენ რამდენიმე სპეციალობა მიიღონ და შეინარჩუნონ, რათა თავისუფლად შეძლონ სამუშაოს სახეობათა ცვლა, ვინც ამას ვერ ახერხებს და ხელფასი უმცირდება, მის ცხოვრების დონე ეცემა.

ამ და მრავალი სხვა ფაქტორის გავლენით, რომელთა შესახებ უკვე გვქონდა აღნიშნული, მოსახლეობის შემოსავალი, რაოდენობრივი თვალსაზრისით, უთანაბრო და ეს უთანაბრობა სულ უფრო იზრდება. ამან განაპირობა სიმდიდრის არათანაბარი დაგროვება და მოსახლეობის ქონებრივი დიფერენცირება. შემოსავლების უთანაბრობაზე მოქმედ ფაქტორთაგან შედარებით მყარია მემკვიდრეობითი საკუთრება, რომელიც აღრმავებს სოციალურ დიფერენციაციას. საუკუნეების მანძილზე მოსახლეობის ერთ ნაწილში სიმდიდრე დაგროვდა მოძრავი და უძრავი ქონების სახით, რომელიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემოდა და მრავლდებოდა. მაგალითად, აშშ-ში, 90-იანი წწ. მონაცემებით, მოსახლეობის 1% ფლობს ეროვნული სიმდიდრის თითქმის 1/5 ნაწილს.

შემოსავლების უთანაბრობაზე მოქმედ ფაქტორთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეწარმული უნარი. კარგი მეწარმე არა მხოლოდ ინტუციით ერკვევა მეტად რთულ სიტუაციებში და მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს პოულობს, არამედ შეუძლია არსებული ვითარების სიღრმისეული გაანალიზების გზით მიაღწიოს ფირმის კონკრეტულ უპირატესობას და წარმატებას, სწორედ ამიტომ ყველა მეწარმე თანაბარი ხარჯების გაღებისას შესაბამისი ოდენობის მოგებას ვერ ღებულობს. ამ შემთხვევაში დიდ როლს ასრულებს თითოეული მეწარმის ინდივიდუალური მონაცემები, რომლებიც წარმოების ორგანიზაციის პროცესში ვლინდება. სწორედ ამიტომ, ეკონომისტთა უმრავლესობის აზრით, მეწარმეობა თავისთავად უკვე ხელოვნებაა, რომელსაც ფუნქციონირების საკუთარი მიმართულება და კანონზომიერება აქვს.

მთლიანად უნარიან მეწარმეზე, რომელსაც შეუძლია უკეთ გაერკვეს როგორც საბაზრო სიტუაციაში, ისე მოიპოვოს სახელმწიფოსა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაკვეთები, სუბსიდიები და ფინანსური თანადგომა, ბევრადაა დამოკიდებული ფირმის შემოსავლიანობა. მაშასადამე, ასეთ ფირმაში მაღალია შრომის შიდა საფირმო სტიმულირების ფინანსური შესაძლებლობები. მის უნარიანობაზეა დამოკიდებული უნარიან მენეჯერთა შემოკრებაც და მათი სტიმ-

ულირებაც, რათა მათ თავიანთ მხრივ მოახდინონ მუშათა ეფექტიანი სტიმულირება.

ზემოთ დასახელებული ფაქტორები დიდ როლს თამაშობენ შრომის ანაზღაურების სიდიდეზე და მის დონეთა დიფერენციაციაზე.

შემოსავლების ოდენობაზე უდიდეს გავლენას ახდენს განათლების დონე და ხარისხი, პროფესიული გამოცდილება, სპეციალობა, შრომითი ჩვევები, სტაჟი და ა.შ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ ფირმის შიგნით ხელფასის ფორმებისა და სისტემების საკითხი შრომის სტიმულების თემის საკითხების მხოლოდ ერთი ნაწილია. მაგალითად, ნათელია, რომ ამ ფირმებისა და სისტემების პირობებში შრომის ანაზღაურების გაზრდა სტიმულია, მაგრამ თანამედროვე ცვალებად ეკონომიკურ ვითარებაში ასევე მნიშვნელოვანია შრომის ბაზარზე მუშის კონკურენტუნარიანობის სტაბილურობა, რისთვისაც არის მნიშვნელოვანი კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლების, პროფესიონალური ოსტატობის მუდმივი ზრდის შესაძლებლობა, ორი ან რამდენიმე პროფესიის დაუფლება და სხვ. ნათელია, რომ შრომის სტიმულებზე, ფირმების გარდა, გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბაზარი, არამედ სახელმწიფო. ნათელია, რომ ისინი გავლენას ახდენენ არა მხოლოდ დაქირავებული შრომის სტიმულებზე, არამედ შრომის ყველა იმ ფორმის სტიმულებზე, რომელთაც თვითონ წარმოების საშუალებების მესაკუთრეები ეწევიან. აქვე ავღნიშნავთ, რომ შრომის სტიმულების ეს სახეობა მიეკუთვნება ბაზრიდან მომდინარე სტიმულებს, რომლებიც სულ უფრო ძლიერად მოქმედებენ თანამედროვე ცვალებად საბაზრო ვითარებაში.

შეიძლება დაიბადოს აზრი, რომ ასეთი საბაზრო ვითარება ადამიანს უქმნის არა სტიმულს, არამედ ახდენს მის მოტივაციას. ჩვენი აზრით, ამ მაგალითისათვის სტიმულებისა და მოტივაციის განსხვავება შეუძლებელია. მაგალითად თუ ადამიანი ტოვებს სამუშაოს ან არასრულ სამუშაო დღეზე გადადის, უხელფასო შვებულებას იღებს და სხვ. იმისათვის, რომ მიიღოს ახალი პროფესია ან აიმაღლოს კვალიფიკაცია ანუ ახდენს თავის ფულადი სახსრების ინვენსტირებას თავის სამუშაო ძალაში, მაშინ მისი მოტივი გამოწვეულია (მოტივერებულია) ანუ სტიმულირებულია ბაზრის მიერ. ჩვენი აზრით, ეს მოტივი არის მისი შინაგანი სწრაფვების (იმპულსების) ერთ-ერთი გამოვლინება.

ახლა შევეხოთ მეორე საბაზრო სტიმულს, რომელიც უფრო ძლიერად არის დაკავშირებული შემოსავლების უთანაბრობისა და ცხოვრების დონესთან, აგრეთვე დანაზოგების დონესთან. როგორც აღინიშნა, მეწარმეების შემოსავლების წყარო მოგებაა, ხოლო მოგებათა რაოდენობრივი განსხვავება ფირმებს შორის დიდია. მეწარმული უნარი შრომის ბაზარზე არ იყიდება, ვინაიდან მეწარმე თვითონ თავისი რისკით ეწევა მეურნეობას. იგი რესურსებს იღებს მათ მესაკუთრეთაგან – კაპიტალის მფლობელისაგან, რომელსაც უხდის პროცენტს (ფიზიკური კაპიტალის მფლობელს იგი პროცენტს უხდის საიჯარო ქირის ფორმით, რომელიც სარგებლის გარდა შეიცავს ამორტიზაციას და სხვ.), მიწის მესაკუთრისგან, რომელსაც უხდის რენტას (მასაც უხდის საიჯარო ქირის ფორმით) და დაქირავებული მუშაკებისაგან – მენეჯერებისა და მუშებისაგან, – რომელთაც შრომის საფასურს უხდის ხელფასის ფორმით. ფაქტობრივად, მეწარმეს ხშირად თვითონ გააჩნია მთელი კაპიტალი ან მისი ნაწილი, და ამ უკანასკნელ შემთხვევაში მიმართავს ბანკს ან ფიზიკური კაპიტალის გამქირავებელს. ზოგჯერ მას აგრეთვე გააჩნია მიწა, ხოლო ზოგჯერ თავის და თავისი ოჯახის წევრების შრომას იყენებს. საკუთარი კაპიტალის განსაზღვრული მინიმუმის არსებობა აუცილებელია აგრეთვე ფირმის საწესდებო კაპიტალის შესაქმნელად. მაშასადამე, თუ ადამიანს სურვილი აქვს მეწარმეობას მოკიდოს ხელი, მას უნდა გააჩნდეს სერიოზული დანაზოგი.

მაშასადამე, მეწარმეობის მსურველი ადამიანი, რომელიც დაქირავებული შრომით ცხოვრობს, დგას ალტერნატივის წინაშე გააგრძელოს შრომის გაქირავება გრძელვადიან პერიოდში და ხელფასი მთლიანად პირადი მოხმარებისათვის გამოიყენოს თუ დაზოგოს იმდენი თანხა, რომ მეწარმეობას მოკიდოს ხელი. მეწარმეობა სულ უფრო მიმზიდველი ხდება ბევრი ადამიანისათვის, რადგან იზრდება მიდრეკილება რისკისადმი. ამას ხელს უწყობს ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში შრომისა და ცხოვრების დონის ზრდა და შესაძლებლობების გაჩენა, რომ მუშაკმა დაზოგოს თავისი ხელფასის ნაწილი, რაც ნათელია რომ საქართველოს სინამდვილეს არ ასახავს, თუმცა სამაგიეროდ რისკისადმი მიდრეკილება საქართველოში ჩვენი აზრით, უფრო შესამჩნევია. აგრეთვე იზრდება მიდრეკილება ადამიანის შემოქმედებითი თვითგამოხატვისადმი, რაც აგრეთვე აძლიერებს მეწარმეობის მიმზიდველობას. ყოველივე ზემოაღნიშნული არის მცირე მეწარმეობის ზრდის ტენდენციის პირობა.

ნათელია, რომ მეწარმეობის მსურველი

ადამიანების მხოლოდ ერთი ნაწილი ემზადება რეალურად მეწარმეობისათვის, რაც, პირველ ყოვლისა, თანხის დაზოგვას ითხოვს, ხოლო ბევრ შემთხვევაში სათანადო კვალიფიკაციის მიღებასაც. ასეთმა ადამიანმა თავისი ხელფასის მაწილი დანაზოგის შექმნასა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ხარჯს უნდა მოახმაროს. ხოლო იმისათვის, რომ ცხოვრების მანამდელი დონე შეინარჩუნოს, მან შეიძლება გაზარდოს თავისი შრომის მიწოდება ბაზარზე, იშრომოს მეტი, რათა შექმნას მეწარმეობის დაწყებისათვის აუცილებელი სახსრები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ადეიშვილი, ეკონომიკური თეორიის საფუძვლები ნაწ.I,. თბ, 1992, გვ. 46.
2. გ. ადეიშვილი. რ. ასათიანი ეკონომიკური თეორია. თბ., 1998, გვ. 448.
3. ჯ. კახნიაშვილი. მაკროეკონომიკა. ნაწ.I, თბ., 1996, გვ.78.
4. С.Фишер, Р.Дорнбуш, Р.Шмалензи. Экономика. М., 1995,стр. 98.

WORK INCENTIVES IN THE CONDITIONS OF THE MARKET RELATIONS AND PRODUCTION POTENTIAL

EDUARD KAVTIDZE - PhD student of GTU

Income is very important thing for development of society, because it is connected with every members interests in the society, as inside motive power.

Peoples life conditions in concrete moment determined in aribitrary concrete moment for income, whiches one of the basic forms of the salary. It is connected with the result of labour, although today it has a social function.

It is well-known, that in every country people who are capable of working are in material production and service sphere they receive their salary as a result of their work it is their lives fundamental source.

In the economic literature, there are lots of consideration about salary, but many economists share Smith`s definition that `Salary is a cost of labour~.